

ვახტანგ მალრაძე

კვლავ არ(ა) და ვერ ნაწილაკებით უმართებულად ნაწარმოები სიტყვების შესახებ

თანამედროვე ქართულ ენაში ახალი სიტყვებისა თუ კალკების წარმოების, უცხო სიტყვების განუსჯელად შემოტანის საოცარი ბუმია. ქართული ენის სიწმინდის დაცვის თაობაზე მოვიშველიებთ არა რომელიმე ქართველი კლასიკოსისა თუ ენათმეცნიერის სიტყვებს, არამედ სასულიერო პირის, ქართული ენის გულშემატკივრის, ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სტეფანეს გამოწვევას: „თანამედროვე მეტყველებაში უამრავი პრობლემა გაჩნდა, მაგრამ ყველაზე საგანგაშო უცხო სიტყვათა გამოყენებაა. ალბათ ამით სურთ, საკუთარ განათლებას გაუსვან ხაზი, მაგრამ გაუნათლებლობისა და წამხედურობის ნიშანი უფროა, როდესაც ადამიანი უცხო ტერმინებს იყენებს და არა – მის ქართულ შესატყვისებს“ [„სარკე“ 2013: 4].

ამჯერად სტატიაში საუბარი გვექნება არა კონკრეტულად უცხო სიტყვებსა და ტერმინებზე, არამედ კალკით შექმნილი სიტყვების წარმოებაზე. თანამედროვე ქართული მედიის ენაში (იქნება ეს ზეპირი თუ წერიტი მეტყველება)* ძალზე გავრცელდა არ(ა) და ვერ უარყოფის გამომხატველი შინაარსის ნაწილაკების უმართებულო გამოყენებით ახალი სიტყვების წარმოება და მათი დამკვიდრების მცდელობა. ისინი ძირითადად უცხო ენების წამხედურობის შედეგადაა შექმნილი.

ჯერ ის აღვნიშნოთ, რომ ბევრი ამგვარად წარმოქმნილი სიტყვა ინგლისურის ანალოგიით უნდა იყოს გაჩენილი. ინგლისურ ენაში **un-** თავსართს რამდენიმე ფუნქცია აკისრია: 1) ზმნას ანიჭებს საპირისპირო მნიშვნელობას; 2) არსებითი სახელებისაგან ნაწარმოები ზმნების ბუნებრივ მნიშვნელობას ჩამოაკლებს, გაათავისუფლებს რაიმესაგან; 3) არსებით და ზედსართავ სახელებს, მიმღობებსა და

* თუმცა სტატიაში დასახელებული ყველა შემთხვევა დადასტურებულია მედიასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

მათგან ნაწარმოებ სიტყვებს, ასევე ზმნიზედებს, ანიჭებს უარყოფით მნიშვნელობას; 4) აძლიერებს ზმნის უარყოფით მნიშვნელობას [Мюллер 1989].

un-ით წარმოქმნილ სახელებს ქართულში ძირეულ სიტყვაზე უქონლობის **უ-** **-ო** სართების დართვით მიღებული სახელები შეესაბამება. მაგრამ ენა **არ(ა)** ნაწილაკის გამოყენებასაც არ ერიდება: მაგალითად, არნახული, არდასაცალებელი, არასაიმედო, არახელსაყრელი, არაკეთისინდისიერი, არასრული, არამყარი, არაკორექტული, არაკანონიერი, არასრულფასოვანი, არალეგალური, არადაამაკმაყოფილებელი, არახელსაყრელი, არასწორი, არალოგიკური, არასაიმედო, არაადამიანური, არაკეთილგანწყობა... მსგავსი სახის სიტყვაწარმოება, როგორც აღვნიშნეთ, უცხო არაა ქართულისათვის, თუმცა ყველა ძირისაგან არაა შესაძლებელი და, თავისთავად, მისაღები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

„ზოგიერთი **არშემდგარი** ძველი ბიჭი გვყავს“ (ჟურნ. „სარკე“, N 8.2014); „**არშემდგარმა** ექიმმა ... შვიდი წლის წინ დატოვა საავადმყოფო...“ (იქვე, N8. 2014); „2008 წლის **არშემდგარი** ამბოხი ალბათ კარგად გახსოვთ“ (იქვე, N 8. 2014).

კომპოზიტი **არშემდგარი** ქართულისათვის მიუღებელი ფორმაა (საერთოდ თავად **შემდგარი** [უმართებულოა: **შემდგარი** მეცნიერი, მსახიობი, პოლიტიკოსი... **შეუშემდგარი** მეცნიერი, მსახიობი, პოლიტიკოსი... მაგრამ მართებულისა: **შემდგარი** ან **შეუშემდგარი მაწონი**, წყალი აქვს **შემდგარი**] რამდენად მართებულისა, მსჯელობის სხვა საკითხია).

დგას ზმნისაგანაა ნაწარმოები **შემდგარი** მიმღობა **მ-** **-არ** თავსართ-ბოლოსართის საშუალებით. უკუთქმითი (უარყოფითი) ფორმები მარტო ვნებითი გვარის ზმნას აქვს [შანიძე 1953: 597]. თუ მაინც დამაინც ეს სიტყვა იყო საჭირო, სწორედ ენაში უკვე დამკვიდრებული **შეუშემდგარი** ფორმა უნდა გამოეყენებინათ **უ** ვნებითი გვარის მიმღობის საწარმოებლად. გამართული ქართულით უნდა ეხმარათ: **ჩამოუყალიბებელი** ბიჭი; **წარუმატებელი**, აჯობებდა **ხელმოცარული** ექიმი; **განუხორციელებელი** ან **ჩაშლილი** ამბოხი.

„ყოველთვის გამაჩნდა ჩემი აზრი, ზოგჯერ მცდარი, ზოგჯერ **არამცდარი**“ (ჟურნ. „სარკე“, N 44, 2012).

უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ **გააჩნია** ზმნა დადებით კონტექსტში არ გამოიყენება, მხოლოდ უარყოფითი დატვირთვა აქვს – არ გააჩნია (არ აქვს), ამიტომ რისამე ქონის აღნიშვნისას

უნდა გამოვიყენოთ **აქვს, მაქვს. არამცდარს** რაც შეეხება, წინადადება უნდა გამართულიყო შემდეგნაირად: მქონდა ზოგჯერ მცდარი, ზოგჯერ **მართებული // გონივრული // მისაღები...** აზრი, ან კიდევ: **შეუმცდარი, უცდომელი** – როგორც შემდეგ მაგალითშია წარმოდგენილი:

„...მართლმადიდებელი ეკლესია **უცდომელია**, ასევე **უცდომელია** მართლმადიდებლური კრება“ (ჟურნ. „გზა“, N5, 2014).

ამ ჟურნალისტმა ორჯერ „ჯიუტად“ გამოიყენა მართებული ფორმა და არცერთხელ – მცდარი **არამცდარი**.

„განათლების **არქონა** ჩვეულებრივი ამბავი იყო“ (ჟურნ.. „გზა“, N49, 2013); „არ არის გამორიცხული, რომ ... კავშირის **არქონამ** გამოიწვიო ცვლილებები“ (ჟურნ. „სარკე“, N 37, 2012); „არაადეკვატური მკურნალობის და მედიკამენტების **არქონის** შედეგად რამდენიმე პატიმარია დაღუპული“ (იქვე, N37, 2012); „რეიტინგის **არქონის** გამო დავიწყეთ რეორგანიზაცია“ (ჟურნ. „სარკე“, N11, 2013); „ეს ნაწილობრივ ჩემი ბრალიც არის, რადგან ფინანსების **არქონის** გამო ახალი სიმღერები ვერ ჩავწერე“ (ჟურნ. „სარკე“, N49, 2012); „არის ქალი ... მასზე კაცები გიჟდებოდნენ, მაგრამ ინტელექტის **არქონის** გამო ერთ ადგილას იყოს გაჩერებული“ (იქვე, N10, 2013); „საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღების სურვილის **არქონა** ნებისმიერი გრძნობის გამოვლენის ჩახშობაა“ (იქვე, N14, 2013); „...ციხეშიც ვიჯექი. იქ საბუთების **არქონის** გამო მოვხვდი“ (იქვე, N15, 2013); „ამის მიზეზად დროის **არქონას** ასახელებს“ (იქვე, N46, 2003); დროს კი არ მოაქვს ურწმუნოება, რწმენის **არქონას** მოაქვს ცუდი დრო“ (იქვე, N24, 2013); მიზეზი ბანალურია – თავის რწმენის **არქონა**“ (იქვე, N47, 2013); „...მომიხსნეს ბრალდებები... საკმარისი მტკიცებულებების **არქონის** გამო“ (იქვე, N26, 2003); „ყველა ქალს როდი შეუძლია იტრაბახოს, საყვარელ მამაკაცთან ურთიერთობაში პრობლემების **არქონით**“ (იქვე, 15.2014), „...განცხადება დავწერე, მაგრამ გამოცდილების **არქონის** ... გამო ვერსად დავსაქმდი“ (ჟურნ. „გზა“, N6, 2014, 21.1)...

დასახელებულ მაგალითებში არაბუნებრივი **არქონა** სიტყვის ნაცვლად აბსტრაქტული სახელი **უქონლობა** უნდა გამოეყენებინათ.

„პირველი მდგომარეობს **დაუფინანსებლობაში**, უფრო სწორად დაფინანსების სისტემის **არქონაში**“ (გზ. „TV პროგრამა“, N7, 2007).

დასახელებულ შემთხვევაში მართებული ფორმა გამოყენებული – **დაუფინანსებლობა** და არა **არდაფინანსება**, მაგრამ იქვე გვხვდება მცდარი ფორმა – **არქონა**. მის ნაცვლადაც **უქონლობა** უნდა

ეხმარათ. საინტერესოა, რომ მაგალითები სხვადასხვა ბეჭდვითი ორგანოდანაა მოხმობილი.

„უმაღლესი განათლების **არმიონე** პედეგამ სწრაფად აულო ალლო დამიზნების ... იარაღს“ (ჟურნ. „რეიტინგი“, N 14, 2009).

აქ კი **უქონელი** ფორმა უნდა გამოეყენებინათ.

„სპეციალური წიგნიც გამოუშვეს, სადაც თავმოყრილია მსოფლიოში **არადიარებული** დინასტიების შთამომავლები“ (ჟურნ. „სარკე“, N7, 2013); ეს **არადიარებული** საქმე იყო...“ (იქვე, N50, 2013); „იმდენი მტკიცებულება გვაქვს... მაგის **არადიარება** არაფრის მომცემია“ (იქვე, N3, 2014); „...ერსა დაკულტურას უამრავი ფასეულობა აქვს დატოვებული, რომლის **არადიარება** შეუძლებელია“ (იქვე, N46, 2013); „...ვიმყოფები უკანონო პატიმრობაში **არჩადენილი** დანაშაულისათვის“ (იქვე, N7, 2013); „ის ერთ-ერთი პიროვნებისაგან **არჩადენილი** დანაშაულის აღიარებას ძალადობის გზით ითხოვდა“ (იქვე, N11, 2013).

ბევრად უფრო მარტივი და ბუნებრივი იქნებოდა **არადიარებული** ნაცვლად **უდიარებელი** ფორმის გამოყენება (მაგ., „ევრიკა“ – ედგარ ალან პოს **უდიარებელი** ნაწარმოებია“, (გაზ. „იდუმალეების სამყარო“, N1. 2007). არჩადენილის ნაცვლად – **ჩაუდენელი**. „დექსუსმა“ **არდაწყებული** და დასამთავრებელი მშენებლობების 90% ააშენა“ (ჟურნ. „სარკე“, N29, 2013); „მხოლოდ მოძღვარზეა მიცემული ძალაუფლება ქრისტესაგან მიტევებისა და **არმიტევების**“ (იქვე, N39, 2013); „ცოდვების... მიტევება-**არმიტევება** ხდება მხოლოდ და მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიაში (ჟურნ. „თბილისელები“, N26.2013); „...ჩვენი ძალა არ იღებს გადაწყვეტილებას... **არგააქტიურებაზე**...“ (ჟურნ. „სარკე“, N16, 2013); „შალვა არაკომფორტული პარტნიორის შთაბეჭდილებას ტოვებდა თავისი არაპროგნოზირებადი ხასიათით, პირდაპირი, „**არადავარცხნილი**“ საუბრის მანერით“ (იქვე, N39, 2009).

პირველ შემთხვევაში **დაუწყებელი** უნდა გამოეყენებინათ, მეორეში – **მიუტევებელი**, მესამეში – **გაუაქტიურებელი**. ბოლო მაგალითში ავტორმა იგრძნო, რომ „არადავარცხნილი“ ენისათვის მიუღებელი ფორმა იყო და სიტყვა ბრჭყალებში მოაქცია. ამკარაა, რომ ჟურნალისტი სხვა შემთხვევაში ბუნებრივ წარმოებას – **დაუვარცხნელს** გამოიყენებდა.

„საერთოდ ღვთის გმობა გამოიხატება იმით, რასაც ჰქვია...სწავლების **არმიღება**“ (ჟურნ. „სარკე“, N46, 2012); „მდუმარე აქცია გაკეთ-

და ანტიქრისტეს **არმიების** და დამხობის მიზნით“ (იქვე, N39, 2012); „სრულწლოვან ასაკში ხორცეულის **არმილება** ჯანმრთელობისათვის სასარგებლო უფროა, ვიდრე მავნებელი“ (იქვე, N36, 2012); „სიძულვილი, თავის **არმილება**, რა თქმა უნდა, ბავშვობიდან ყალიბდება...“ (იქვე, N2, 2013)...

პირველ სამ შემთხვევაში **უ-ელ** თავსართ-ბოლოსართიანი ფორმა უნდა გამოეყენებინათ (აბსტრაქტულობის **-ობა** სუფიქსით) – **მიუღებლობა**: სწავლების **მიუღებლობა**, ანტიქრისტეს **მიუღებლობა**, ხოცეულის **მიუღებლობა**, საკვების **მიუღებლობა**...

რაც შეეხება ბოლო შემთხვევას, **თავის მიუღებლობას**, ის სტილისტიკურად გაუმართავი შესიტყვებაა. აჯობებდა გამოეყენებინათ ბუნებრივი გამოთქმები: საკუთარი თავისადმი **ურწმუნობა**, საკუთარი თავის **ურწმუნობა**, საკუთარი ძალების **უგულელებეყოფა**, საკუთარი თავის **უგულელებეყოფა**, საკუთარ ძალებში **დაურწმუნებლობა**, საკუთარი ძალების **შეუფასებლობა**, **არასრულფასოვნების კომპლექსი**.

მათ გვერდით მართებული ფორმებიც გვხვდება:

„არსებობს ოჯახები, რომლებიც ტრადიციას პატივს სცემენ და ეს მათთვის **მიუღებელია**“ (ჟურნ. „სარკე“, N 10, 2013); „პროვოკაცია მოაწყვეს და შესაძლებელი გახადეს საუბრები ქსენოფობიასა და **მიუღებლობაზე**“ (გ. ჩხეტიანი, თარგმ., „ოქროს თევზები“, 2013).

საინტერესოა, რამ გამოიწვია დამკვიდრებული და გამართული სიტყვის „**მიუღებელი**“ დავიწყება და ახალი გაუმართავი კალკის შემოღება.

„თმის ზრდის შეჩერება და **არამოსვლა** სხვადასხვა პრობლემაა (ჟურნ. „სარკე“, N25, 2013); „თქვენი **არმისვლა**... ადრე მომხდარ ინციდენტს ხომ არ უკავშირდება?“ (იქვე, N8, 2014); „...არჩვენებზე ... მათი **არმისვლა** გახდა ნაციონალების პროცენტის მატების მიზეზი“ (იქვე, N44, 2013); „...მათი არმისვლით არანაირი კანონი არ დარღვეულა“; მათი არმისვლით რას შეეშალა ხელი?“ იქვე, N8, 2014); „იქვე დაამუხრუჭა, საწოლთან **არმისული**“ (მ. ბურჭულაძე, „ერთი კვირა წარსულის გარეშე“, 2003)...

არამოსვლას ზუსტად შეესაბამება **ამოუსვლელობა**, **არმისვლას** კი – **მიუსვლელობა**.

ბიუჯეტის **არდამტკიცებით** რას ცდილობს „ოცნება“? (ჟურნ. „სარკე“, N7, 2014); „...უმცირესობა... ვენეციის კომისიის დასკვნის **არგათვალისწინების** გამო მოსალოდნელ საფრთხეებზე ლაპარაკობს“ (იქვე, N18, 2013).

„არდამტკიცება“, „არგათვალისწინება“ ხელოვნურად წარმოქმნილი სიტყვებია. მათ ნაცვლად **დაუმტკიცებლობა, გაუთვალისწინებლობა** უნდა გამოეყენებინათ.

„შეიძლება ყოველთვის არ მოიგო, მაგრამ **არგარისკვა** მაინც უფრო წამგებია“ (ჟურნ. „სარკე“, N14, 2009); „შეიძლება **არდაფეხმძიმების** მიზეზი ეს იყოს?“ (იქვე, N28, 2013); „პოლიპი ხშირ შემთხვევაში **არდაფეხმძიმების** მიზეზია“ (იქვე, N17, 2013); „ერთმა ნაჩქარევად... გადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება მთელი ცხოვრება განსაზღვროს ან **არგადადგმულმა** მოუკლას მომავალი“ (იქვე, N7, 201).

არგარისკვაც უმართებულო ფორმაა. აქ შეიძლებოდა გამოეყენებინათ: **გაურისკაობა, ურისკობა, რისკის უქონლობა...** მეორე შემთხვევაში **დაუფეხმძიმლობა** უნდა გამოეყენებინათ, მესამეში – **გადაუდგმელი**. საკითხიც იოლად მოგვარდებოდა და არც გაუმართლებელი ფორმები დაამძიმებდა ენას.

„საქმე აღძრულია... ბრძანების **არდამორჩილების**... ფაქტზე“ (ჟურნ. „სარკე“, N11, 2014); „არა, ჩემი მხრიდან **არდათანხმება** ფარისევლობა იქნებოდა...“ (ჟურნ. „რეიტინგი“, N4, 2013); „მე ვეთანხმები თქვენს **არდათანხმებას**“ (ჟურნ. თბილისელები“, N11, 2013); „იყო ასე, თავისთვის, სანამ არ ეხებოდნენ, თუ ამას **არშეება** ჰქვია“ (თ. ზონი, „ოცნების ძიებაში“, 2014).

ენას აქვს მშვენიერი სიტყვა **დაუმორჩილებლობა**, რომელიც მიმდებარებით ნაწარმოები უქონლობის შინაარსის მატარებელია: უნდა ყოფილიყო – **დაუმორჩილებლობის** ფაქტზე.

მეორე და მესამე შემთხვევებშიც იგივე ვითარებაა: საწყისებზე მექანიკურადაა დართული უარყოფის ნაწილაკი. აჯობებდა გამოეყენებინათ **შეწინააღმდეგება, დაპირისპირება...** თუ მაინცდამაინც აუცილებელი იყო წინადადებაში „თანხმობის“ შინაარსის წარმოჩენა, უნდა ეწარმოებინათ იმავე უქონლობის მიმდებარებით **უ-ელ: დაუთანხმებლობა**, ბოლო შემთხვევაში კი – **შეუხებლობა**.

„...არ განიხილება თემა ცალმხრივად აღებული ვალდებულებებისა ცეცხლის **არგანახლების** შესახებ“ (ჟურნ., „სარკე“, N42. 2012); „...მამა გაბრიელისაგან ისწავლა სიმდაბლე, სიმშვიდე, **არგანკითხვა**“ (იქვე, N2. 2014); „მორისი თავისი რწმენით, ხასიათითა და **არგანკითხვის** უნარით ეკლესიასთან ძალიან ახლოს იყო“ (იქვე, N2. 2014); „...თუ ლაპარაკია ძლიერ ოპოზიციაზე, ბურჯანაძის **არხსენება** უფრო გასაოცარი იქნებოდა“ (იქვე, N2. 2013); სასამართლოს გადაწყვეტილებას აღმკვეთი ღონისძიების **არშეფარდებასთან** დაკავშირებით დადებითად ვაფასებ“ (იქვე, N52. 2014);

განახლებას უპირისპირდება ქართული წარმოება **განუახლებლობა**. მართებული იქნებოდა სწორედ ამ სიტყვის გამოყენება. მეორე შემთხვევაში კი უნდა გამოყენებინათ ძალზე გავრცელებული – **განუკითხაობა**; მესამეში – **უხსენებლობა**, უკეთესი იქნებოდა **მოუხსენიებლობა**. შემდეგ მაგალითში კი – **შეუფარდებლობა**.

„სერიალის ტელევიზიით **არგაშვება** ძალიან სასაცილო იყო“ (ჟურნ. „სარკე“, N7, 2013); „...მიზეზად...სიუჟეტის მომზადება დაასახელა, რომლის **არგაშვებასაც** თურმე...კატეგორიულად მოითხოვდა“ (იქვე, N11, 2013); „სისხლის რეგულარულად გაღება უფრო სასარგებლოა, ვიდრე წელიწადში ერთხელ ან საერთოდ **არგაღება**...“ (იქვე, N6, 2013); „...ერსა და კულტურას უამრავი ფასეულობა აქვს დატოვებული, რომლის ... **არდანახვა** შეუძლებელია“ (იქვე, N46, 2013).

პირველ ორ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო **გაუშვებლობა**: სერიალის **გაუშვებლობა**; სიუჟეტის **გაუშვებლობა**; მესამეში – სისხლის **გაუცემლობა**, ან კიდევ: სისხლის **გაუღებლობა**, ბოლო შემთხვევაში – **დაუნახაობა**, **უმაღურობა**.

„ბევრი ადამიანი ოპტიმისტებს ბრალს სდებს ცხოვრების **არცოდნაში**“ (ჟურნ. „სარკე“, N7, 2013); „...სოკრატეს ცოდვა ესმოდა, როგორც ცუდის **არცოდნა**...“ (იქვე, N17, 2013); ვგონებ, რომ ამის **არცოდნა**... დანაშაული უფრო იქნება...“ (იქვე, N8, 2014); „...სწორედ ამ **არცოდნის** შევსებას ცდილობენ ადამიანები“ (ჟურნ., „თბილისელეზი“, N53, 2013); „პუტინი ახლა ატარებს მასტერკლასს, გაკვეთილის **არცოდნისათვის** კი ისტორია ჩვენ დაგვსჯის“ (ჟურნ., „სარკე“, N17, 2014); „ენის **არმცოდნეები** ბენზინგასამართ სადგურზე ფულსაც გამოიმუშავენ“ (ჟურნ., „სარკე“, N11, 2013).

პირველ ოთხ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო **უცოდინარობა**: ცხოვრების **უცოდინარობაში**, ცუდის **უცოდინარობა**, ამის **უცოდინარობა**, ამ **უცოდინარობის**, მეხუთეში – **უცოდინარობისათვის**; მეექვსეში – **უცოდინარი**: ენის **უცოდინარები**. **უცოდინარი** შეიძლება უარყოფით შთაბეჭდილებასაც ტოვებდეს, უარყოფით ასოციაციას იწვევდეს და ამის შესარბილებლად ქმნიან **არ** ნაწილაკიან ფორმას, თუმცა სემანტიკურად მათ შორის არანაირი განსხვავება არაა.

„მნიშვნელოვანია... ჩვენს საქმეებში ცხვირის **არჩაყოფა**“ (ჟურნ. „სარკე“, N52, 2012) „...არის მინიშნებები, რომ არ გავჩუმდე. ამის **არგაზიარება** კატასტროფას გამოიწვევს“ (იქვე, N8, 2013); „...ინფორმაციის **არმიწოდება**, დამალვა, ჩვენი კამერის გამორთვა პრესკონფერენციებზე ...შეიძლება“ (იქვე, N34, 2013); „ორგანიზმში ერთ-ერთი

რთული პროცესია, რომლის... **არდადგომა** უამრავ ცვლილებებზე მიუთითებს“ (იქვე, N12, 2013).

აქაც ისევ დამკვიდრებული წარმოება უნდა გვქონოდა: ცხვირის **ჩაუყოფლობა**, მეორეში: ამის **გაუზიარებლობა**; მესამეში – ინფორმაციის **მიუწოდებლობა**, მეოთხეში – **დაუდგომლობა**.

„...ეს უკანასკნელნი მტკიცედ დგანან [სხდომაზე] **არშესვლაზე** (ჟურნ. „თბილისელები“, N53, 2013). „ამ ადამიანის **არშემჩნევა** შეუძლებელია...“ (ჟურნ. „სარკე“, N6, 2013); „...ხელშეკრულებას... ჰქონდეს გარკვეული ძალა, რათა **არშესრულების** შემთხვევაში პასუხი მოვთხოვოთ (იქვე, N13, 2013).

არშესვლის მართებული ფორმაა **შეუსვლელობა**. **შემჩნევის** ანტიონიმური სიტყვაა **შეუმჩნევლობა**. არაბუნებრივი **არშემჩნევა** კომპოზიტის ნაცვლად ბევრად მარტივი იქნებოდა ბუნებრივი ქართული სიტყვის (შეუმჩნევლობა) გამოყენება; მესამე შემთხვევაში **არშესრულების** ნაცვლად უნდა იყოს **შეუსრულებლობა** და ამ უკანასკნელის მაგალითიც გვხვდება იმავე ჟურნალის გვერდებზე:

„...უნდათ, რომ შიშშილი, სილატაკე და დაპირების **შეუსრულებლობა**...გადაფარონ...“ (ჟურნ. „სარკე“, 26, 2013).

ყველაფერი ნორმალურ სახეს მიიღებდა და სადავოც აღარაფერი იქნებოდა.

„არ უნდა სჭირდებოდეს ომი, რომ საკუთარი საქმე გამოითხოვოს და **არდანიშვნის** მიზეზები დაადგინოს“ (ჟურნ. „სარკე“, N12, 2013); „ამის დაუნახაობა და **ართქმა** არ შეიძლება“ (იქვე, N31, 2013); „მორისი არც მე და არც ბავშვებს შენიშვნას არ გავაძლევდა. თუმცა იმ **ართქმასა** და **არმითითებაში** უკვე იგულისხმებოდა მისი აზრი“ (ჟურნ. „სარკე“, №36, 2013); „ეგონა, რომ „პატიოსანი ხალხის ოცნების არგახარება“ პოლიტიკური ამბიციების გამო ხდებოდა...“ (ჟურნ. „სარკე“, №41, 2013).

აქაც თავისუფლად შეიძლებოდა დამკვიდრებული ფორმების ხმარება: **დაუნიშნაობა**, **უთქმელობა**, **მიუთითებლობა**, **გაუხარლობა**.

„...ორგანიზმში ერთ-ერთი რთული პროცესია, რომლის დადგომა-**არდადგომა** უამრავ ცვლილებებზე მიუთითებს“ (ჟურნ. „სარკე“, N12, 2013); „უთხრა მინარეთის **არადღგენის** მოთხოვნით შეკრებილ მართლმდიდებლებს...“ (იქვე, N39, 2013); „...განცხადება დავწერე, მაგრამ... ნაცნობის **არყოლის** გამო ვერსად დავსაქმდი (იქვე, N6, 2014); „...როგორც ამბობს, მისი პრობლემა შვილის **არყოლა** ყოფილა“

(იქვე, N3, 2014); „**არდასწრების** მიზეზი სწორედ ეს არის“ (იქვე, N49, 2013).

არაბუნებრივი **არდადგომის, არადღენის, არყოლისა და არდასწრების** ნაცვლად უნდა გამოეყენებინათ ენაში გავრცელებული და მტკიცედ ფეხმოკიდებული: **დაუდგომლობა, აღუდგენლობა, უყოლობა, დაუსწრებლობა.**

„ერთმა ნაჩქარევად... გადადგმულმა ნაბიჯმა შეიძლება მთელი ცხოვრება განსაზღვროს ან **არგადადგმულმა** მოუკლას მომავალი“ (ჟურნ. „სარკე“, N7, 2014); „რაც შეეხება სასწრაფოს **არგამომახებას** ... ეს აბსოლუტური ტყუილია(ჟურნ. „სარკე“, N7, 2014): „საქმის **არგამომიება** პოლიტიკური მანიპულაციის საფუძველს არ იძლევა“ (იქვე, N44, 2013).

არჩადენილის ნაცვლად უნდა იყოს **ჩაუდენელი**, ხოლო **არგამომიების** ნაცვლად – **გამოუძიებლობა.**

„ამ საქმის **გამომიება-გამოუძიებლობა** გულისხმობს პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც“ (ჟურნ. „სარკე“, N8, 2014).

როგორც ჩანს, მართებული ფორმის გამოყენებაც შესაძლებელი ყოფილა.

„ეს იყო პირველი **არმოხვედრა** მიზანში“ (ჟურნ. „სარკე“, N10, 2009); სეზონის მანძილზე ეს იყო მისი პირველი **არმოხვედრა** (რადიო I, 27.07, 1998); „უფრო მეტი ფიქრობს წასვლას, ვიდრე **არწასვლას**“ (ჟურნ. „სარკე“, N42, 2013); „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა თუ **არწასვლა** ნამდვილად არ ნიშნავს მათ გამარჯვებას ან დამარცხებას“ (იქვე, N27, 2009).

საინტერესოა, რამ გამოიწვია ქართულ ენაში არსებული **აცილების** უგულუბელყოფა? ადვილი იქნებოდა ამ გამოთქმისაგან თავის დაზღვევა, თუ **მოხვედრას** დაუპირისპირებდნენ მის ანტონიმს – **აცილებას.**

რაც შეეხება **არწასვლას**, მის გვერდით მართებული ფორმაც დასტურდება – **წაუსვლელობა:**

„მორწმუნე ადამიანისათვის მთავარი ... უსინდისობასთან კომპრომისზე **წაუსვლელობა** და კეთილშობილური მიზნებია“ (ჟურნ. „სარკე“, N12, 2013).

რა საჭიროა არარსებული სიტყვაწარმოქმნა, სხვათა ენის წამხედურობა, როდესაც ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკული შესაძლებლობები მრავალ ენას შემზურდება?

„ყველაფერი გააკეთეს და [პროვოკაციას] წამოვეგეთ, რაც მიუთითებს ჩვენს **არაკვეიანობაზე**“ (ჟურნ. „სარკე“, N 10, 2009, გვ. 14).

არაკვიანობა ძალიან ხელოვნურად, ნამალადევად ნაწარმოებში სიტყვაა. **კვიანის** საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვებია: **უკუყო, უგუნური, უგონო, უტვინო...** [ნეიმანი 1978]. ხოლო დასახელებულ კონტექსტში მოცემულ სიტყვას შეესაბამება **უკუობა, უგუნურობა, უტვინობა, გონებაჩლუნგობა.**

„...მეტი დრო უნდა დაიხარჯოს **არასასწრაფო** და **არაგადაუდებელ** საკანონმდებლო ცვლილებებსა და გასატარებელ რეგიონებზე“ (ჟურნ. „სარკე“, N 6, 2013).

ამ შემთხვევაში მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ **გადაუდებელი** და **სასწრაფო** ისევ აღ. ნეიმანთან [ნეიმანი იქვე] სინონიმებადაა წარმოდგენილი და ნიშნავს: **სწრაფი, დაუყოვნებელი, გადაუდებელი, საშური, საჩქარო, ჩქარი...**

„იქნებ ცოლმა ვერ აიტანა მუდმივად სახლში **არმყოფი** ქმარი...“ (ჟურნ. „სარკე“, N3, 2013); „საუბრის დასასრულს, რას უსურვებთ მორწმუნე და ასევე რწმენაში **არმყოფ** ადამიანებს? (იქვე, N3, 2013).

მართალია, **არყოფნა** სიტყვა ქართულში დამკვიდრებული ფორმაა („ყოფნა?... არ ყოფნა?... საკითხავი, აი ეს არის“) [შექსპირი 1954: 111], მაგრამ მიმღეობა **არმყოფი** უცხოა ენისათვის. საჭირო იყო არა მიმღეობის წარმოება, არამედ სწორედ ნაწილაკდართული საწყისი – **არყოფნა**. წინადადება ასე უნდა გამართულიყო: იქნებ ცოლმა ვერ აიტანა მუდმივად სახლში ქმრის **არყოფნა**.

„კრიმინოგენური სიტუაციის **არგაუარესებაზე** იკამათეს“ (ჟურნ. „სარკე“, N40, 20130); „ნუ ირბენთ ერთი მომღვრიდან მეორესთან თქვენთვის **არმოსაწონი** დარიგებების შეცვლის იმედად (იქვე, N49, 2013); „...ოლიმპიადაზე **არმონაწილეობა** მხოლოდ და მხოლოდ ქართულ სპორტს დააზიანებს (იქვე, N42, 2013); სიცრუის მიზეზი მრავლადაა: სიმხდალე, გამორჩენა, გულის **არტკენის** სურვილი...“ (იქვე, N33, 2013); „– უქმი ნიშნავს ზედმეტს, არასაჭიროს, აუცილებლობით **არგამოწვეულს**“ (იქვე, N33, 2013); „...თანამომემენი **არახელდასხმულებთან** ურთიერთობას თავს არიდებდნენ...“ (თამარ ლუტიძე, თარგმ., „მასონები“, 2012); „ეს **არამცოცავი** ანექსიაცაა...“ (ჟურნ. „სარკე“, N49, 2013); ეწინააღმდეგება ეკლესიურ ზნეობას: ემბრონისადამიანური ღირსების **არცნობა...**“ (იქვე, N9, 2014); „ის შესაძლოა, ვინმე სხვა, **არწამყვან** ფიგურაზე ფიქრობდა...“ (იქვე, 42, 2013).

ზემოთ დასახელებულ შემთხვევებშიც ანალოგიური ვითარება გვაქვს, თუმცა მართებული მაგალითებიც ხშირად გვხვდება:

„ზაალ კასრელიშვილი ლაფანყურის ინცინდენტის **გაუხმაურებელ** დეტალებს საჯაროს გახდის“ (ჟურნ. „სარკე“, N7, 2013); „...**დაბა-**

ნა-დაუბანლობა პიროვნების აბსოლუტურად პირადი სივრცის ნაწილია...“ (იქვე, N 7, 2013).

არანაირი სირთულე არ გამოუწვევია ახალი ტერმინის „არ-შექმნას“. აღნიშნულ წინადადებებში გამოყენებული დამკვიდრებული გამოთქმით სათქმელი ზუსტადაა გამოხატული. სტატიის ავტორებმა იხმარეს ბუნებრივი ფორმები და არა ძალად შეკოწიწებული: **გაუხმაურებელი** და არა – **არგახმაურებული** ან **არგაუხმაურებლობა**, **დაუბანლობა** და არა **არდაბანილი** ან **არდაბანილობა**.

უარყოფის გამომხატველი შინაარსის შემცველი **არ** ნაწილაკიანი ფორმები შეიძლება დასაშვებად იქნეს მიჩნეული და გამართლება მოეძებნოს გარკვეულ შემთხვევაში. მაგალითად:

„**გადარჩენა**, **არგადარჩენა**, სიკვდილი, სიცოცხლე, ყველაფერი პირობითია“ (იქვე, N 46, 2012); „...ეროვნული იდეები... მუდმივად დგას თვითმყოფადობის **გადარჩენა-არგადარჩენის** ზღვარზე“ (იქვე, N 17, 2013); „ახლა მის **გახსნა-არგახსნაზე** საუბარი“ (იქვე, N 46, 2012); „...ორგანიზმში ერთ-ერთი რთული პროცესია, რომლის **დადგომა-არდადგომა** უამრავ ცვლილებებზე მიუთითებს“ (იქვე, N 12, 2013); „სარეიტინგო კენჭისყრის **დანიშვნა-არდანიშვნა** ასეთი ხმაურიანი რატომ გახადეს“ (იქვე, N13, 2013); „მისი **მიღება-არმიღების** საკითხი მარხვის სიმკაცრეზეა დამოკიდებული“ (იქვე, N11, 2012); ოლიმპიადამი მონაწილეობის **მიღება-არმიღების** საკითხი ვინ უნდა გადაწყვიტოს? (იქვე, N42, 2013); „მაშინ იარაღის **ჩადება-არჩადება** არ გვანტერესებდა“ (იქვე, N1, 2013); „ქვეყნისათვის რისი მომტანია ოლიმპიურ თამაშებზე **წასვლა-არწასვლა**?“ (იქვე, N42, 2013); „...ოლიმპი-ადაზე **წასვლა-არწასვლაზე** რას ფიქრობთ? (იქვე); „სოჭში **წასვლა-არწასვლაზე** დიდი ვნებათაღელვა იყო ატეხილი“ (იქვე, N6, 2014); „...იუმორისტული გადაცემის **ყოფნა-არყოფნას** ვანო ჯავახიშვილი და „კომედი ჯგუფი“ წყვეტენ“ (იქვე, N 18, 2013); „...შარშან ნადვილად იდგა საქართველოს **ყოფნა-არყოფნის** საკითხი...“ (იქვე, N 9, 2013); „დადგა **ყოფნა არ ყოფნის** ჟამი“ (ბ. დავითაია, „უცდომელი ვერსია“, 1992); „იმდენი მტკიცებულება გვაქვს, მაგის **ადიარება** ან **არადიარება** არაფრისმომცემია“ (ყურნ. „სარკე“, N3, 2014); „...ჩვენ ვსაუბრობთ ადმინისტრაციული რესურსის **გამოყენება-არგამოყენებაზე**...“ (იქვე, N44, 2013).

ზემოთ გაანალიზებული მაგალითებისაგან განსხვავებით, იმ შემთხვევაში, როცა წარმოსაჩენია „შეპირისპირების“ შინაარსი, საჭიროა კონტრასტის განსაკუთრებით ხაზგასმა, ამიტომ შეგნებულადაა შექმნილი ანტონიმური **არ** ნაწილაკიანი კომპოზიტები (**გადარჩენა-**

**არგადარჩენა, გახსნა-არგახსნა, დადგომა-არდადგომა, დანიშვნა-არ-
დანიშვნა, მიღება-არმიღება, ჩადება-არჩადება, წასვლა-არწასვლა,
ყოფნა-არყოფნა, აღიარება-არაღიარება, გამოყენება-არგამოყენება...)**
ასეთ შემთხვევებში აღნიშნული წარმოება მისაღები და გამართლე-
ბულია.

* * *

ზემოდასახელებულ მასალაზე დაყრდნობით განვიხილეთ **არ(ა)** ნაწილაკით არასწორად ნაწარმოები უარყოფითი შინაარსის აღმნიშვნელი სიტყვები. ამჯერად **ვერ** ნაწილაკიან ფორმებს შევხე-
ბით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ენას, განსხვავებით სხვა ენე-
ბისაგან, აქვს საშუალება უარყოფა გამოხატოს ორი სხვადასხვა ნაწი-
ლაკით: **არ(ა)** და **ვერ(ა)**. „მათ შორის ის განსხვავებაა, რომ „არ“ მარ-
ტივად უარყოფს („არ ჭამს“. „ვერ“ მოქმედების შეძლებას უარყოფს
(„ვერ ჭამს“)“ [შანიძე 1953: 640]. **არ(ა)** უარყოფითი ნაწილაკია, იხმა-
რება ზმნასთან (შესაძლებლობა-შეუძლებლობის ჩვენების გარეშე;
განსხვავებით ვერ ნაწილაკისაგან, მაშინ, როცა ვერ, ვერა აღნიშნავს,
რომ ამა თუ იმ მოქმედების შესრულება შეუძლებელია ვინმესთვის
[ქეკელი 1986]. დავუმატებთ, რომ **არ(ა)** კატეგორიული უარყოფის მი-
მანიშნებელია, ხოლო **ვერ(ა)**, სურვილის მიუხედავად, რაიმე მიზე-
ზის გამო, შესრულებას შეუძლებელს ხდის.

დავასახელოთ რამდენინე უმართებულო წარმოების მაგალი-
თი:

„მგზავრობის 4 საათის განმავლობაში გარეთ **ვერგამოსული** იდე-
ები მის ტვინში ირეოდნენ“ (ჟურნ. „სარკე“, N14, 2004); „სექტანტები
სცოდავენ მართლმადიდებლობის **ვერ გაგებით**“ (იქვე, N39, 2013);
„**ვერშეგუება** დიდხანს გაგრძელდა...“ (იქვე, N9, 2009); „არ ვფიქრობ,
რომ დაგეგმილი 6 პროცენტი ზრდის **ვერშესრულებაში** რაიმე ტრა-
გედია“ (იქვე, N2, 2014).

აქაც უქონლობის შინაარსია გამოსახატავი, მაგრამ საჭირო იყო
კვლავ **უ- ელ** მაწარმოებლების გამოყენება: გაუყოფელი, გაუთლე-
ლი, გაუმართავი, დაუწერელი, დაუხატავი, დაუნახავი, მოუმართა-
ვი, მოუწყობელი, შეუღესავი, შეუღებავი, შეუბღლავი, შეუვალი, შე-
უმუსრავი, შეუღობავი, ... და ა. შ. პირველ შემთხვევაში უნდა გვქო-
ნოდა გამოუსვლელი: გარეთ **გამოუსვლელი** იდეები... ან **გამოუთ-
ქმელი** იდეები; მეორეში – პირველ რიგში, თუ მაინცდამაინც ეს მი-

რი გვინდოდა გამოგვეყენებინა – **გაუგებლობა**: მართლმადიდებლობის **გაუგებლობა**, თუმცა აქ ბევრად ფართო არჩევანი გვქონდა: **შეუცნობლობა**, **გაუცნობიერებლობა**, **ჩაუწვდომლობა**; მესამეში კი – **შეუგუებლობა**: **შეუგუებლობა** დიდხანს გაგრძელდა; მეოთხეში – **შეუსრულებლობა**: პროცენტის ზრდის **შეუსრულებლობა**.

„ამ ჭეშმარიტების **ვერდანახვა** და **ვერშეცნობა** ყველაზე ადვილია“ (ჟურნ. „თბილისელები“, N23, 2013); „მისი ხმის **ვერგამოცნობა**, ცხადია, შეუძლებელი იყო...“ (გ. ჩხეტიანი, თარგ., 2013); „გვამის ამოცნობამ, უფრო სწორად, **ვერამოცნობამ** სწრაფად ჩაიარა“ (იქვე); „კაცს, რომელიც ბავშვებს ზრდის, ემოციების **ვერგაკონტროლება** არ ეპატიება“ (ჟურნ. „სარკე“, N34, 2013).

ამ შემთხვევებშიც შეიძლებოდა ისევ იმავე წარმოების გამოყენება. პირველ შემთხვევაში – **დაუნახაობა**: ჭეშმარიტების **დაუნახაობა** ყველაზე ადვილია; მეორეში – **შეუცნობლობა**: ჭეშმარიტების **შეუცნობლობა**; მესამეში – **გამოუცნობლობა**, **ცნობა**, **მიხვედრა**: ძნელი იყო მისი ხმის **გამოუცნობლობა**, ან ძნელი არ იყო მისი ხმის **ცნობა**, **მიხვედრა**; მეოთხე შემთხვევაში კი – **ამოუცნობლობა**: გვამის ამოცნობამ, უფრო სწორად, **ამოუცნობლობამ** სწრაფად ჩაიარა. ან ყველაზე მარტივი იქნებოდა, **ამოცნობა** სიტყვა მთარგმნელს ბრჭყალებში მოექცია. ბოლო შემთხვევაში კი – **გაუკონტროლებლობა**, **მოუთოკაობა**: ემოციების **გაუკონტროლებლობა**, **მოუთოკაობა**.

* * *

სტატიის პირველ მონაკვეთში გაანალიზებული იყო უქონლობის ფორმანტების ნაცვლად **არ(ა)** და **ვერ** ნაწილაკებით ნაწარმოები ფორმები. აღინიშნა, რომ ამ სახის წარმოება უმართებულოა. ქვემოთ განვიხილავთ ისეთ შემთხვევებს, როცა სწორედ უქონლობის მწარმოებლებია უმართებულოდ გამოყენებული:

„მამაკაცთა **უსუსტობის** მიზეზს დიდი ნერვული სტრესი განაპირობებს“ (გაზ. „იდუმალ. სამყარო“, N 33, 2007).

პირველ რიგში, გავასწოროთ წინადადებაში არსებული სტილისტიკური შეცდომა: **უსუსტობის** ანტონიმია არა **სისუსტე**, არამედ **სიძლიერე**. ანუ ნერვულ სტრესს განაპირობებს უძლურებაო, – გულისხმობს ავტორი. არადა კონტექსტი საწინააღმდეგოს მიუთითებს. უნდა ყოფილიყო: მამაკაცთა **სისუსტის** მიზეზს დიდი ნერვული სტრესი განაპირობებს.

„ხანდახან გასაკვირ **გაუმჭრიახობას** იჩენს“ (ჟურნ. „რეიტინგი“, N 14, 2009).

ავტორს სურდა აღენიშნა, რომ კონკრეტულ პირს **გამჭრიახობა, გონიერება, მიხვედრილობა, წინდახედულობა...** აკლდა. **გაუმჭრიახობის** ნაცვლად საკმარისი იქნებოდა დაეწერათ: ხანდახან გასაკვირ **მიუხვედრელობას, უჭკუობას, უგუნურებას, უტვინობას...** იჩენდა, ანდა **გამჭრიახობა** აკლდა, **მიხვედრილობა** ღალატობდა, **წინდახედულებას** ვერ იჩენდა... არჩევანი ფართოა, საჭიროა მხოლოდ გულისყური, პასუხისმგებლობა და ენის მხატვრული შეგრძნება. **უსუსტობა** და **გაუმჭრიახობა** ქართულისათვის მიუღებელია.

* * *

განხილულ შემთხვევებში **არ(ა)/ვერ** ნაწილაკების ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ უქონლობის სართები (შესაბამისად, ზედსართავი და მიმღეობა). როგორც აღვნიშნეთ, ბევრ სიტყვაში **არ(ა)** ნაწილაკები ბუნებრივად დამკვიდრებულია და მისი არსებობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა ეს არ გვამღევეს იმის უფლებას, რომ სხვა ენაში გაბატონებული სიტყვების დარად – ქართულშიც ხელაღებით ვაწარმოოთ შესაბამისი ფორმები.

დასასრულ, დავძენთ, რომ უცხო ენის ანალოგიით ამა თუ იმ ფორმის წარმოება მიუღებელია. გასაოცარია, რომ სასულიერო პირი უფრო მეტ ყურადღებას, დაკვირვებულობასა და გულისხმიერებას ავლენს აღნიშნული საკითხების მიმართ, ვიდრე ისინი, ვისი პირდაპირი მოვალეობაცაა ენისადმი მეტი პასუხისმგებლობისა და ცოდნის გამოჩენა.

ლიტერატურა

ნეიმანი 1978 – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი.

„სარკე“ 2013 – ჟურნალი „სარკე“, №16, 2013.

ქეგლი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.

შექსპირი 1954 – უ. შექსპირი, ტრაგედიები, II, ჰამლეტი.

Мюллер 1989 – В. К. Мюллер, Англо-Русский Словарь, М., 1989.

Vakhtang Magradze

Again on the Words Formed Incorrectly with ar(a) „no(not)“ and ver „unable“ Particles

S u m m a r y

The paper represents the forms calqued with the particles **ar(a)** „no(not)“ and **ver** „unable“ like: **aršemdgar**i „unrealized“, **arkona** „not to have got“, **armiyeba** „not accept“, **armosvla** „not coming“, **ardamorčileba** „not obeying“, etc. The mentioned formation is unfamiliar for Georgian. Instead of them organic variants should be used: **šeumdgari**, **ukonloba**, **miuyebloba**, **mousvleloba**, **daumorčilebloba**, etc.